ცხადდება კონკურსი
ადმინისტრაციული პერსონალისთვის
კილის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში (გერმანია)
ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში მობილობის სტიპენდიების მოსაპოვებლად

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულ ადმინისტრაციულ პერსონალს.*

მობილობის პერიოდი: 2024 წლის გაზაფხულის სემესტრი

სტიპენდიატთა შესარჩევი პროცესი:

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
3. CV-ს ევროპული ფორმატი **ინგლისურ** ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv
4. რეკომენდაცია ინგლისურ ენაზე;
5. შევსებული სამუშაო გეგმა ინგლისურ ენაზე, დანართი 1;
6. მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი **(pre-acceptance)** (ოფიციალური წერილი სავალდებულო არ არის, საკმარისია მეილით მიღებული თანხმობა/დაინტერესების დასტური, რომელიც გაცემული იქნება მასპინძელი უნივერსიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის მიერ).

მობილობის პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებული აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი უნდა დარეგისტრირდეს გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge **და ატვირთოს სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) და გამოგზავნოს განაცხადი ელექტრონულად მიმდინარე წლის 8 მარტის 14 საათამდე!**

- გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია.
- რეკომენდატორის მიერ რეკომენდაციის შევსების და გამოგზავნის გარეშე სააპლიკაციო განაცხადის გამოგზავნა არ არის შესაძლებელი. შესაბამისად, მშვნელოვანია რეკომენდატორი ჯეროვნად ინფორმირებული იყოს განაცხადის გამოგზავნის დედლაინის თაობაზე

დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

ა) გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონული სარეგისტრაციო პორტალის mobility.tsu.ge გამოყენებასთან დაკავშირებული პირობები:

- გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პორტალი mobility.tsu.ge არ არეგისტრირებს განაცხადებას ზემოთ მითითებული ვადის (8 მარტის 14:00სთ) გასვლის შემდეგ;
- პორტალი mobility.tsu.ge არ არეგისტრირებს არასრულ სააპლიკაციო პაკეტს. სააპლიკაციო განაცხადი ელექტრონულად ჩაბარებულად ითვლება მხოლოდ **გაგზავნის** ღილაკის დაჭერის შემდეგ. სააპლიკაციო

დოკუმენტაციის წარმატებით გამოგზავნის შემდეგ აპლიკანტი მეილზე მიიღებს შესაბამის შეტყობინებას.

- გასაუბრებების დრო, თარიღი და ადგილი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს პორტალზე [mobility.tsu.ge] მითითებულ მეილზე; გასაუბრება ტარდება ცოცხალ რეჟიმში.

კონკურსის ორგანიზების საფუძველი და შერჩევის წესი

თსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის პერსონალის შერჩევის წესის დამტკიცების თაობაზე (N 8/04)

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის პერსონალის შერჩევის წესი (დანართი N1).

თსუ-ს მიერ ადმინისტრირებული გაცვლითი და მობილობის პროგრამების კონკურსზე დაშვების პირობები და მონაწილეობის წესები აკადემიური პერსონალისათვის

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge